პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 აგვისტო შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 204 (14200)

შეასრულეს რვა თვის გეგმა

ტყიბული. (საკ. კორ.). რიტმულად მუშაობს ი. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი (უფროსი გ. რაზმაძე). აქ ახალი ძალით გაჩაღდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავემ სამთო საწარმომ ვადაზე შეასრულა სამშობლოს საკოქსე ქვანახშირის მოპოვების 8 თვის სახელმწიფო დავალების შესრულება.

მეშახტეებმა სექტემბრის ანგარიშში ფაბრიკა-ქარხნებს უკვე გაუგზავნეს ათასობით ტონა სათბობი.

ᲩᲣᲗᲜᲚᲔᲚᲘ — ᲕᲐᲚᲓᲐᲒᲔᲑᲘ

ციმბირელ მეტალურგთა პასუხად

ზესტაფონი. (საკ. კორ.). დასავლეთციმბირელ მეტალურგთა თაოსნობას — სწრაფად ავითვისოთ საპროექტო სიმძლავრენი — საქმით უპასუხებენ ზესტაფონელი მეტალურგები. სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან თანამეგობრობით ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი იბრძვის მეოთხე საამქროს დახურული ელექტროღუმელების ტექნოლოგიის სრულყოფისა და წარმადობის გადიდებისათვის. ამ მიზნით მუშაობას აგრძელებს მეტალურგ - მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ელექტროთერმული ლაბორატორიის უფროსი გ. მიქელაძე ხელმძღვანელობს. ორ ღუმელზე ინერგება დაბრიკეტებული მარგანეცით შენადნობის მიღება. ამ სიახლის მიზანია სადნობი ღუმელების წარმადობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა. ამ საქმეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ივ. კეკელიძე უძღვება. შედეგები კარგია.

ჭიათურის ღარიბი მადნების გამოყენების პრობლემაზე მუშაობს მესამე საამქროს კოლექტივი. საწარმოო ცდები აქაც დამაკმაყოფილებელია.

საწარმოს სიმძლავრეთა ათვისებისათვის გაფლილ შეჯიბრებაში ზესტაფონელმა მეტალურგებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს. მთელი ცალით შეასრულეს შენადნობთა გამოშვების შვიდი თვის დავალება და ნაყოფიერად ; ზრომენ აგვისტოშიც.

ᲖᲠᲓᲘᲐᲜ ᲦᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲡ

ტორიის უფროსი გ. მიქელაძე, ნელმძღვანელობს. ორ ღუმელზე ინერგება დაბრიკეტებული მარგანეცით შენადნობის მიღება. ამ სიახლის მიზანია სადნობი ღუმელების წარმადობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა. ამ საქმეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ივ. კეკელიძე უძღვება. შედეგები კარგია.

ჭიათურის ღარიბი მადნების გამოყენების პრობლემაზე მუშაობს მესამე საამქროს კოლექტივი. საწარმოო ცდები აქაც დამაკმაყოფილებელია.

საწარმოს სიმძლავრეთა ათვისებისათვის გაფლილ შეჯიბრებაში ზესტაფონელმა მეტალურგებმა პირველ წარმატებას მიაღწიეს. მთელი ცალით შეასრულეს შენადნობთა გამოშვების შვიდი თვის დავალება და ნაყოფიერად ; ზრომენ აგვისტოშიც.

ᲨᲠᲝᲛᲔᲘᲗᲘ ᲜᲘᲛᲑᲐᲗᲘ

აბაშის რაიონის მშრომელებმა 26 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 387 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 384 ტონისა, გეგმა შესრულებულია 100.7 პროცენტით. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. კუციამ.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ

თამბაქოს შეტანა

მეთამბაქოეობის რაიონებში გაჩაღებულია თამბაქოს შეტანა. წელს გეგმით უნდა შეიტანოს 179.950 ათასი ზონარმეტრი თამბაქო; ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 26 აგვისტოს ცნობებით, შეტანილია 66.664 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ანუ გეგმის 37 პროცენტი.

აფხაზეთის მეთამბაქოეებმა შეტანეს 26.874 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, გეგმა კი 85.200 ათასი ზონარმეტრის შეტანეს ითვალისწინებს. აჭარაში გეგმით გათვალისწინებული 22 მილიონი ზონარმეტრიდან შეტანილია 10.657 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. ლაზოდეხელებმა შეტანეს 13.001 ათასი ზონარმეტრი, რაც გეგმის 43,8 პროცენტს შეადგენს. მარნეულელებს თამბაქოს შეტანის დავალება შესრულებული აქვთ 32,7 პროცენტით, ბოლნისელებს — 73,4 პროცენტით.

მზესუმზირას აღება

მზესუმზირას მოსავლის აღებას შეუდგენენ სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, წითელწყაროს, ლაგოდეხის რაიონები. სულ ასაღებია 19.427 ჰექტარი მზესუმზირა. 26 აგვისტოსათვის აღებული იყო 7.293 ჰექტარი.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მზესუმზირას აღება **წითელწყაროს** რაიონში. აქ აღებულია 4.489 ჰექტარი, ანუ გეგმის 47,5 პროცენტი. **სიღნაღელებმა** აიღეს 2.323 ჰექტარი, რაც გეგმის 41 პროცენტს შეადგენს. გურჯაანელებს მზესუმზირას აღების დავალება შესრულებული აქვთ 13 პროცენტით, **ლაგოდეხელებს** — 20 პროცენტით.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ

ჩვენს ქვეყანაში ეთილენის წარმოების ფელაზე მძლავრი დანადგარის პროექტი შეიმუშავა სრულიად საკავშირო ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის უფის ფილიალმა. დანადგარი მწარმოებლობით რამდენჯერმე აღემატება ამჟამად მოქმედ დანადგარებს. განზრახულია პირველი ასეთი კომპლექსების აშენდეს ნიჟნეკამსკის ნავთობქიმიურ და ომსკის ნავთობგადასამუშავებელ კომბინატში.

როგორც ცნობილია, ეთილენი უნიკალური ნედლეულია. იგი საჭიროა ეთილის სპირტის, კაუჩუკის, სარეცხი საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების დასამზადებლად. (საკდესის კორ.).

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲔᲑᲘ

ერევანი, 30 აგვისტო. (საკდესის კორ.). 10 ათას ჰექტარ ცარიელ ქვიან ნიადაგს მორწყავს ტალინის არხის მეორე რიგის წყალი. დღეს ამ მალამთიანი „სიცოცხლის არტერიით“ მშენებლებმა დიიწყეს არხის გაყვანა. უკვე წელს 1.000 ჰექტარზე მეტი მიწა მიიღებს მაცოცხლებელ ტენს.

80-ზე მეტი ახალი წყალსაცავი, სატუმბი სადგური, სარწყავი არხი შენდება ამჟამად რესპუბლიკაში.

უფა.

ᲛᲝᲠᲔᲣᲚ ᲩᲣᲙᲝᲢᲙᲐᲨᲘ

ანადირი, (ჩუკოტკის ეროვნული ოლქი), 30 აგვისტო (საკდესის კორ.). დღეს ელექტრონათურები აციმციმდა ჩუკოტკის საბჭოთა მეურნეობა „კომუნისტის“ სამონადირეო საველე ბანაკში. აქ დაბა „ტუმანსკაიაში“ მწყობრში ჩადგა მოძრავი დიზელის ელექტროსადგური.

ელექტრონათურები უახლოეს ხანში აინთება სამ მეირმეობის საბჭოთა მეურნეობაშიც. ნავთის ლამფა ტოვებს ჩუკოტკას.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲘᲚᲘᲡᲨᲘ

მოსკოვში ერთ კვირას მიმდინარეობდა ენერგეტიკოსთა მე-7 საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 70 ქვეყნის 5 ათასზე მეტმა სპეციალისტმა. კონგრესზე განიხილეს ენერგეტიკის აქტუალური პრობლემები, მისი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

კონგრესის დამთავრების შემდეგ ბევრი უცხოელი დელეგატი გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში უდიდესი ენერგეტიკული ობიექტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების გასაცნობად.

საფრანგეთის, იაპონიის, დასავლეთ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის სპეციალისტთა დიდი ჯგუფი რამდენიმე დღეს იყო საქართველოს დედაქალაქში. ისინი ეესტუმრნენ თბილისს ა. ვ. ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სპეციალურ-საკვლევ ინსტიტუტს. ინსტიტუტის დირექტორმა თ. გეგეჭკორმ უამბო სტუმრებს, თუ რომელ პრობლემებზე მუშაობს ინსტიტუტი. შემდეგ უცხოელმა სპეციალისტებმა გაეცნეს ზოგიერთი ძირითადი ჰიდროტექნიკური და ენერგეტიკული მოდელი, დანადგარი და სტენდი.

30 აგვისტოს დილით სტუმრები ოქს გაფრინდნენ. (საქდესი).

ᲥᲯᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი — ძალოვანი კვანძის სამმართველოს კოლექტივი წარმატებით განაგრძობს ენერგორესურსების უამრის ათვისებას. როგორც ცნობილია, ამ სამმართველოს მეათე სანგრევში გვირაბის ჩქაროსნული გაყვანის რეკორდებით სახელი გაითქვა გივი ნადირაძის ბრიგადამ. პირველი რეკორდი დამყარდა გასული წლის აგვისტოში, იგი შარშან დეკემბერშივე გააუმჯობესეს და კიდევ უფრო აამაღლეს მიმდინარე წლის მარტში. ბოლოს, ახალი საკავშირო რეკორდი დამყარდა ახლახან ივლისის დამლევს. ოთხი რეკორდი ერთი წლის განმავლობაში!

დიდი კვეთის გვირაბის რეკორდული გაყვანის თვიური სიჩქარე ოთხივე შემთხვევაში, ასეთ სურათს იძლევა:

ჯერ იყო 107, შემდეგ — 110, მერე — 115, ბოლოს კი — 131 გრძივი მეტრი. ეს მაშინ, როცა გეგმა 55 გრძივ მეტრს ითვალისწინებდა.

ამ ბოლო რეკორდისათვის შრომის დღეებში მოულოდნელი ამბავი მოხდა: ავად გახდა ბრიგადის მეთაური გივი ნადირაძე. იგი დროებით შეცვალა იოსებ გელაშვილმა. დიდი ამოცანა იყო დასახული, და ამიტომ ბრიგადის შემადგენლობა ორმოც კაცამდე გაზარდეს. ბრიგადაში იყვნენ გივის ძმები: ალითაზი და შოთა ნადირაძეები, იოსებ გელაშვილი, სარდიონ მამუჩაშვილი, დომენტი ღვინჭილია, იონა თავაძე.

დადგა ცხარე დღეები...

ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლას მტკივნეულად განიცდიდა ავადმყოფი გივი ნადირაძე.

ბრიგადა კი მტკიცედ უტევდა კლდეს, განაგრძობდა ბურღვას, აფეთქებას წინსვლას. მალე გამოჩნდა ეგრეთწოდებული „კარსტული მღვიმეები“, მაგრამ საგანგებო ღონისძიებებით ბრიგადის წევრებმა მაინც სწრაფად გაიარეს სახიფათო ზონა. შრომის ფრონტის გაშლის ინტერესები მოითხოვს გვირაბიდან გამონამუშევრის გამოტანეს დაჩქარებას. ყოველი აფეთქების შემდეგ ამისათვის გრაფიკით ექვსნახევარი — შვიდი საათია გათვალისწინებული. მაგრამ მეხუთე ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლთა ბრიგადა მიტროფანე კეზუას ხელმძღვანელობით 5-6 საათში ასწრებდა გამონამუშევრების გამოტანას.

მთელი გატაცებით იშრომეს მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს მეექსკავატორე აკაკი შონიამ, და მებულდოზერე ვალერიან გაბუნაშვილმა.

30 ივნისს ღამით გაისმა ბოლო აფეთქების ხმა. ერთ თვეში ნადირაძე-გელაშვილის ბრიგადამ 131 გრძივი მეტრი დიდი კვეთის გვირაბი გაიყვანა და პირნათლად შესრულა კომკავშირის 50 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულება.

ძალოვანი კვანძის სამმართველოს მეათე სანგრევის ამ საქვეყნოდ ცნობილმა ბრიგადამ აგვისტოშიც ახალი ძალით შეუტია კლდეს და განაგრძო სვლა მეცხრე სანგრევისაკენ, რომელიც გვირაბების მშენებლობის სამმართველოს ეკუთვნის.

მეცხრე სანგრევი თვეების მანძილზე არ იძროდა ადგილიდან. იქაური ბრიგადა სხვაგან გადაისროლა გვირაბების მშენებლობის სამმართველომ.

ამიტომ გვირაბგამყვანები მხოლოდ ერთი მიმართულებით, მეათე სანგრევიდან გადავიდნენ გადამწყვეტ იერიშზე.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

წარმატებაში დიდი როლის შესრულება შეეძლო და შეასრულა კიდეც მეხუთე ავტოსატრანსპორტო კანტორამ, რომლის უფროსია ანელ ხვიტია. „კრაზ-256“ — მარკის თვითსაცლელების მძღოლებს, მიტროფანე კეზუას, აბესალომ ლომკარიას, კარლო რაფავას, გონელი ნარმანიას, ვანო დარბაიძესა და სხვებს მეათე სანგრევიდან შეუფერხებლად გამოჰქონდათ კლდის ნანგრევები.

და აი ამ ორი დღის წინათ მეათე და მეცხრე სანგრევებს შუა დარჩენილი კლდის უკანასკნელი მონაკვეთის აფეთქების ხმამ მიდამო გააყრუა.

როცა ზანზარი მიწისძვრა და მტვრის ნისლი გაიფანტა, გამოჩნდა და მიწისქვეშა პროსპექტის დიდი პორიზონტი.

— ჩვენთან რამდენიმე თვის წინათაც შეერთდნენ სხვა სანგრევები, მაგრამ ის იყო მხოლოდ ჩვენი სამმართველოს ფარგლებში. დღეს კი სულ სხვა ამბავი მოხდა: ძალოვანი კვანძის სამმართველოს მეათე სანგრევი შეუერთდა გვირაბების მშენებლობის სამმართველოს მეცხრე სანგრევს, — ამბობს ძალოვანი კვანძის სამმართველოს მთავარი ინჟინერი უშანგი ბოჯიაშვილი. —, მეტიც შეიძლება ითქვას, — განაგრძობს უშანგი, — ახალი ტექნიკით შეიარაღებული ჩვენი კოლექტივი გალის რაიონის ტერიტორიიდან უტევდა კლდეს. ბრიგადა, რომელიც დაბრკოლებათა გადალახვით მიიწევდა წინ, ახლა მეცხრე სანგრევთან შეერთებით წალენჯიხის რაიონის დასაწყისში ახალ ტრასაზე გავიდა.

გვრაბგამყვანთა სიხარული გაიზიარეს მისალოცად მისულებმა: ენგურჰესის მშენებლობის უფროსმა კონსტანტინე დადიანმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა მიხეილ გვიშიანმა, გაერთიანებული პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი მიქავამ და სხვებმა.

აღინიშნა, რომ მოპოვებულ იქნა კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმატება — მეათე და მეცხრე სანგრევების შეერთებით გაერთიანდა ჭირითადი, სადაწნეო-სადერივაციო გვირაბის ორკილომეტრიანი უბანი.

საზეიმო წუთების შემდეგ უკვე სხვა სანგრევებში გაისმა აფეთქებათა ხმა. მიწისქვეშა იერიში გრძელდება.

შ. შენგელი,
გ. ნოდია.

• • •

ᲮᲔᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ენგურჰესის მშენებლობის მეორე უბნის მოწინავე ცვლის უფროსი ნიდარ სელიფანაშვილი, უბანი, სადაც ის შრომობს, კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს ატარებს. ქვემოთ — რეკორდსმენთა სახელგანთქმული ბრიგადის წევრები — მარცხნიდან: გვირაბგამყვანი ა. ნადირაძე, ბრიგადირი ი. გელაშვილი, გვირაბგამყვანები შ. ჩაჩავა, შ. ნადირაძე და ვ. შუბავა. ისინი ახალ გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს.

ფოტო ბ. კეკელიძისა
და თ. ფუტკარაძისა.

ᲖᲠᲓᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ „ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ“ ᲕᲐᲠᲪᲘᲮᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

რესპუბლიკის მეღვინეობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაარსების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ ვარციხის ღვინის ქარხანა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჰაძე

თბილისი, 1968 წლის 30 აგვისტო.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲔᲜᲐᲕᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

30 აგვისტოს თბილისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღეს. სხდომა მოიწვიეს საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ.

სხდომის პრეზიდიუმში არიან საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. გომელაური**, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **შ. ყარყარაშვილი**, „საქნავთობის“ ტრესტის მმართველი **ს. ხოსროშვილი**, ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა „გახსნა საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა **თ. კრავჩინსკაიამ**.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთა თავმჯდომარის მოადგილემ **ნ. გომელაურმა**.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს „საქნავთობის“ ტრესტის უფროსმა მბურღავმა ოსტატმა **მ. ბახიამ**, ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენების სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ნ. გუსაროვმა**, ორჯონიკიძის რაიონის „თბილგაზის“ სარემონტო-საექსპლოატაციო კანტორის ბრიგადირმა **ი. ჩიჩუამ**, თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის მლაქავმა **ზ. მღებრიშვილმა**.

დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ᲥᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ — ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲡ

29 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიაში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლები და ფიქალდი პრემიები გადასცეს სპეციალისტთა დიდ ჯგუფს, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში მონაწილეობდნენ 1967 წელს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარემ გ. მიქელაძემ გამოფენის მთავარი კომიტეტის სახელით ოქროს მედალი გადასცა „სამტრესტის“ მმართველს გ. თუშმალაშვილს. იგი დაჯილდოვეს ისეთი ახალი მარკის მცირეალკოჰოლიანი სუფრის ღვინოების ფართო ასორტიმენტის შექმნისათვის, როგორიც არის „ცოცქა“, „ბახტრიონი“, „მანავი“ და სხვები, რომლებიც 1967 წელს გამოუშვეს 5 მილიონ 147 ათასი დეკალიტრის რაოდენობით. ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვეს მუკუზნის № 1 ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე მ. ვარდანაშვილი, წინანდლის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი მეღვინე ე. გულისაშვილი, თბილისის № 1 ღვინის ქარხნის სამარკო ღვინოების საამქროს უფროსი გ. ნიკოლაიშვილი. თბილისის კონიაკის ქარხანას მიენიჭა 1 ხარისხის დიპლომი ახალი უნიკალური კონიაკების „50 წლისა“ და „ვარძიის“ შექმნისათვის, რომლებიც მრავალწლოვანი სპირტებისაგან არის დამზადებული და ორიგინალური გაფორმებით გამოირჩევა.

გამოფენის მთავარი კომიტეტის ჯილდოთი აღინიშნა რუსთავის ქიმიურ კომბინატში მეთანისა და ნახშირორჟანგის შეთავსებული კონვერსიის საამქროს ავტომატური მართვის შემუშავება და დანერგვა, **რომელშიც** გამოსათვლელ ტექნიკას იყენებენ. ეს სიახლე წელიწადში საწარმოს 41,3 ათას მანეთს უზოგავს. ამ ნამუშევრისათვის ვერცხლის მედლები მიიღეს თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების უფროსმა გ. ტოლუმაძემ და რუსთავის „ავტომატმტრწვის“ საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა ე. ეზაკელმა. ამავე ნამუშევრისათვის ბრინჯაოს მედლები გადაეცათ თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეებს სამეცნიერო ნაწილში ი. მიქაძეს, ნ. ჩხატარიშვილს, ინსტიტუტ „ავტომატმტრწვის“ ქიმიის განყოფილების უფროსს კ. მემარნიშვილს და ამავე ინსტიტუტის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ე. სხირტლაძეს.

თბილისის ფალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირორჟანგის ქარხნის მთავარ ტექნოლოგს თ. ლაღიძეს გადაეცა ბრინჯაოს მედალი ფალკოჰოლო სასმელის „ყავის“ რეცეპტურის და ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვისათვის და წარმოების სამრეწველო ათვისებისათვის.

ოქროს მედალი მიენიჭა „საქპარტრესტის“ მთავარ ინჟინერს რ. გამსახურდიას ქართული პურის „შოთასა“ და „ტრახტინულის“ საცხობი მექანიზებული ღუმელის კონსტრუქციის შემუშავებისა და დანერგვისათვის. ამავე ნამუშევრისათვის ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა თბილისის № 6 პურის ქარხნის მთავარი მექანიკოსი ბ. კაკაბაძე. ძველი საცხობების ნაცვლად მექანიზებული ღუმელების დანერგვამ შრომის ნაყოფიერება შვიდჯერ გაადიდა.

ოქროს მედალი მიენიჭა გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ი. კვეიტაძეს აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობისათვის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური კარმიდამოს მშენებლობასა და კეთილმოწყობაში. (საქდესი).

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲘ — ᲐᲮᲐᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ბიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველომ ნიგოზეთის საშუალო სკოლის ტიპური შენობის აგება შარშან დაიწყო და მშენებლობა უკვე დაამთავრა.

ახალ სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები, სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, სპორტული დარბაზი, მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინა, ბუფეტი და სხვ. ეწყობა ცენტრალური გათბობა.

შემოზიდულია ახალი ინვენტარი, სახელმძღვანელოები, სკოლაში მეცადინეობა ერთ ცვლად იქნება.

სკოლის მშენებლობაზე თავდადებულად იმუშავეს ხელოსნებმა გ. ლაბაძემ, შ. კუსიანმა, ლ. სამხარაძემ, მ. წერეთელმა. მშენებლებს აქტიურად ეხმარებოდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ მიწის დიდი სამუშაოები შეასრულეს, მშენებლებს სამენ მასალებს აწვდიდნენ. შრომაში თავი ისახელეს მოსწავლეებმა ო. ჯაოშვილმა, რ. ვაშაძემ, მ. აბრამიშვილმა, გ. ცერცვაძემ, დ. ბრეგვაძემ და სხვებმა.

ნიგოზეთელი მოსწავლეები კარგ საჩუქარს მიიღებენ. ისინი ახალ სასწავლო წელს ახალ სკოლაში დაიწყებენ.

ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲠᲔᲙᲔᲑᲬᲓᲔᲡ

ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ

ხობში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა.

ახალი სასწავლო წლისათვის ღირსეული საჩუქარი მიიღეს ხობის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა. ისინი მუშაობას განაახლებენ ახალ კეთილმოწყობილ სამსართულიან შენობაში.

საექსპლოატაციოდ გადაეცა ნოჯიხევის რვაწლიანი სკოლის მეორე კორპუსი, ხოლო ხამისქურის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ საკუკაოს უბანს გადასცა დაწყებითი სკოლის რვაოთახიანი შენობა.

ო. სახვიშვილი.

ხობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი.



ᲐᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ სასკოლო შენობა ქალაქ ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე. დაირეკება პირველი ზარი და 960 მოსწავლისათვის ახალი სასწავლო წელი დაიწყება ამ კეთილმოწყობილ შენობაში. მშენებლებმა და შეფმა ორგანიზაციებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მოსწავლეთა განკარგულებაში ყოფილიყო ნათელი და ვრცელი საკლასო ოთახები, დერეფნები, ოთახები კაბინეტებისა და ლაბორატორიებისათვის, საწრეო და სპორტული მუშაობისათვის.

პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები დიდი მადლობით ეკიდებენ ამ საჩუქარს.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

პარტიული ცხოვრება

ტყუპი ოქმები

მაშასადამე, თქვენ გინდათ ჩვენი პარტიული მეურნეობა ნახოთ? — ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მითხრა პარტბიუროს მდივანმა და საქალალდეები წინ დამილაგა.

— იქნებ საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმით დავიწყოთ, — სწრაფად შევაგებე ჩემი წინადადება.

— საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმით? — გაიმეორა მან და „საქმეებს“ დაუწყო ქექვა.

— ჰო, ახლა გამახსენდა, ეს ოქმი აქ არ უნდა იყოს...

— მაშ სად იქნება?

— რაიკომის ინსტრუქტორმა ა. თინიკაშვილმა კრების დამთავრების შემდეგ თან წაიღო, რაიკომში გვპირდებაო.

— მაგრამ ერთი პირი ხომ აქ, პარტორგანიზაციაში უნდა შეინახოთ?

— ეს კი არ ვიცოდი, — შეიცხადა ლენინგორის რაიონის დორეთკარის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა გიორგი ბუთხუზმა.

საუბარი კარგა ხანს გაგვიგრძელდა, მაგრამ გიორგი ბუთხუზის ყოველი გაურკვეველი პასუხიდან გარკვევით ჩანდა, რომ იგი მხოლოდ ოდნავ ინტერესს თუ იჩენს პარტიულ-ორგანიზაციული საქმიანობისადმი.

აბა თვითონ განსაჯეთ: მას პარტბიუროს ხუთი წევრის ჩამოთვლაც კი გაუჭირდა, ხოლო კითხვაზე, თუ როდის ჩაატარეს უკანასკნელად პარტბიუროს სხდომა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გულახდილად აღიარა, ბიუროს სხდომები არ ჩაგვიტარებიაო.

პარტიული ორგანიზაციის პირველი კრების ოქმი მიმდინარე წლის 15 იანვრით არის დათარიღებული. დღის წესრიგის უდროობამ დაგვაფიქრა. ნუთუ კომუნისტებს შუა ზამთარში გაახსენდათ „ბოსლების რემონტი?“

— სწორედ ასე იყო, — დამიდასტურა ოქმის სისწორე მდივანმა.

„...ვაგაზის თავლაში გვესაჭიროება შიფერი, — ვკითხულობთ ოქმში, — რაზედაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ დრო არის, რომ იზრუნოს, რათა ისე აღარ მოგვიხდეს. როგორც გასულ წელს კუცხოეთის უბანში გვქონდა შემთხვევა. შუა ზამთარში გაჭირვებით ვეშიდებოდით შიფერს“...

— ნუთუ ასე იწერება დადგენილება?

— ვეკითხები გიორგი ბუთხუზს.

— რა ვუყოთ, როგორც გიცოდით, ისეც დავწერეთ...

საქალალდეში გასული წლის ოქმებიც ეწყო. აი 20 ოქტომბრის კრების ოქმი. ეცნობი მას და ფიქრობ, ნუთუ მეორედ ვკითხულობ ერთსა და იმავე ოქმს?! და უცებ გაგახსენდება, რომ 15 იანვრის კრების ოქმი და ეს მარშანდელი კრების ოქმი ერთმანეთს ისე ჰგვანან, როგორც ტყუპის ცალები. და როცა შედარებას შევუდექით, თვითონ მდივანიც დიდად დაინტერესდა შედეგით. ერთნაირი დღის წესრიგი, ერთი და იგივე მომხსენებელი, ისევ ის მოკამათეები, დადგენილებაც კი ზუსტად, სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთიმეორეს.

ბოლოს, თითქოს გაახსენდაო, ეს უცნაური „გამოცანა“ ისევ პარტბიუროს მდივანმა გ. ბუთხუზმა ახსნა:

— როცა მდივნად ამირჩიეს, კრების ოქმის გაფორმების წესი არ ვიცოდი და ძველი ოქმის მიხედვით დავწერე.

მაგრამ როგორც იყო დავარწმუნეთ, რომ ძველის მიხედვით წერა ერთია, ხოლო სიტყვასიტყვით გადაწერა — მეორე.

ვთვალიერებთ სხვა ოქმებსაც. კვლავ კურიოზი. მიმდინარე წლის 14 თებერვალს გამართული პარტიული კრების ოქმი № 5 არაფრით არ განსხვავდება გასული წლის 9 თებერვალს ჩატარებული კრების ოქმისაგან. როგორც ორი წვეთი წყალი, ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს.

და მაინც რატომ მოხდა ასე? იქნებ იანვარ-თებერვალში პარტიული კრებები სულაც არ მოწყვეთიან?

ჩანს, არც პარტიული დავალებებისა განაწილებაზე უფიქრია პარტბიუროს მდივანს. კოლმეურნეობაში არ გამოდის კედლის გაზეთი, სერიოზული ნაკლოვანებებია საგიტაციო მუშაობაში. მდივანი თავის მოვალეობას მხოლოდ და მხოლოდ საწევრო შესატანების აკრეფით ფარგლავს. თუმცა ამ საქმეშიც ყველაფერი რიგზე როდი, მაგალითად, ზოგიერთი კომუნისტი ხელს არ აწერს უწყისზე, ზოგი კი დიდი დაგვიანებით იხდის საწევრო შესატანს.

ეჰეს გარეშეა, რომ პარტბიუროს მდივანი სუსტად ერკვევა პარტიული მუშაობის საკითხებში, მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ იგი ინტერესსაც არ იჩენს. უმოქმედო მდივანს კი ბიუროს წევრებიც ბეძავენ.

რა თქმა უნდა, დორეთკარის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში ასეთი მდგომარეობა არ შეიქმნებოდა, პარტიის ლენინგორის რაიკომს შეუწყნარებელი „ჩაურეველობის პოზიცია“ რომ არ დაეკავებინა და საჭირო დახმარება გაეწია ახლადარჩეულ, გამოუცდელ პარტბიუროს მდივნისათვის. სინამდვილეში საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ მხოლოდ ერთხელ მოვიდა რაიკომის ინსტრუქტორი ა. ჩოჩიეთი ამ პარტორგანიზაციაში და სწორედ ისეთ დროს, როცა პარტბიუროს მდივანი რაიონულ ცენტრში იყო ვამოძახებული.

დასკვნა ერთია: დორეთკარის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მეტად მზრუნველი ხელი სჭირდება. და რაც უფრო მალე იფიქრებს ამაზე პარტიის ლენინგორის რაიკომი, მით უფრო დროზე აღიკვეთება უმოქმედობა დორეთკარში, მიღწეულ იქნება კომუნისტთა აქტივობის, მათი თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარება.

ა. ფუხაევი.

პარტიული ქრონიკა

ორჯონიკიძე. ამას წინათ აქ ჩამოვიდა შალამბიანი წალკის რაიონის პარტიული და საბჭოთა მუშაკების დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კპ წალკის რაიკომის მეორე მდივანი გ. გავრილოვი ხელმძღვანელობდა.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი იყო იდეოლოგიურ მუშაობაში პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ დანერგული სიახლის — საყოფრდინაციო საბჭოების მუშაობის გაცნობა, გამოცდილების გაზიარება. წალკელები გაეცნენ სოფელ ციცის სასოფლო საბჭოში შექმნილ პოლიტაღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საყოფრდინაციო საბჭოს საქმიანობას, სამუშაო გეგმას, მისი შედგენის მეთოდებს, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გატარებულ ღონისძიებებს კულტმასობრივი მუშაობის დარგში, პასუხისმგებელ ორგანიზატორთა ფუნქციებს.

დელეგაციის წევრებმა მოიწონეს საყოფრდინაციო საბჭოს მუშაობა, მისი იდეა და ამოცანები და გადაწყვიტეს მუშაობის ეს მეთოდი თავიანთ რაიონშიც დანერგონ.

ძ. სახვაძე,

მინდვრად, კოლმეურნეებთან

ნაყოფიერად მუშაობს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის კულტურის სახლი. განსაკუთრებით გაძლიერა მან საქმიანობა ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტ დღეებში.

სოფლის კულტურული ძალები მეჩაიეებისათვის კითხულობენ ლექციებს, აწყობენ საუბრებს, გაიმართა საღამოები თემებზე: „აი რა ალამაზებს ადამიანს“, „ჩვენი სოფელი წინათ და ახლა“. ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ კულტურის სახლთან შექმნილი ლიტერატურული, დრამატული, მოჭადრაკეთა წრეები და საესტრადო ჯგუფი.

კულტურის სახლთანვე გამოდის კედლის გაზეთი „სინათლე“, ბრიგადებში სისტემატურად უშვებენ საველე გაზეთებს. აქ ხშირად მართავენ კონცერტებს. მოწყობილია გამოფენები, ვ. ი. ლენინი — დიდი ოქტომბრის ბელადი“, „ჩვენი სოფელი ხუთწლედში“, „ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ზ. ქობალია,
დარჩელის კულტურის სახლის დირექტორი.

30 წელი — აგიტატორად

პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობის მუშაკს გ. ალანიას აგიტატორად მუშაობის 30 წელი შეუსრულდა. ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი კვირაში ერთხელ აწყობს საინტერესო საუბრებს მე-4 აგროუბნის მუშებთან.

აგიტატორის საუბრები მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრიგადის საქმიანობასთან. გ. ალანია ყოველი საუბრის დროს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებსაც ეხება.

მოწინავე აგიტატორი ყულევის სასოფლო კლუბის კედლის გაზეთის რედაქტორიც არის.

თ. გალოგრე,
ხობის რაიონის ყულევის რვაწლიანი სკოლის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.

1 სექტემბერი ნავთობისა და გაზის მუშაკთა საკავშირო დღეა

გაზი და პროგრესი

ხვალ ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ნავთობისა და გაზის მუშაკთა დღესასწაულს. ჩვენი რესპუბლიკის გაზის მუშაკებისათვის ეს თარიღი წელს განსაკუთრებულია. იგი ემთხვევა საქართველოში გაზიფიკაციის დაწყების 10 წლისთავს. თუ რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის, როგორ ეგებებიან გაზიფიკატორები თავიანთ დღესასწაულს და იუბილეს, რა პერსპექტივებია დასახული ამ იაფი საწვავის შემდგომი პროგრესისათვის, ამაზე გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ბ. ბარძიმოვი.

□ □

დღეს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ იქნება მტკიცე სათბობ-ენერგეტიკული ბაზა. ამიტომ პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საწვავის პროგრესული სახეების — ნავთობისა და გაზის მოპოვებას.

უკანასკნელ ხანს ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საწვავის ბალანსის სტრუქტურა, რამაც ყოველმხრივ აამაღლა საწოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა და საშუალება მოგვცა უფრო რაციონალურად გამოგვყენებინა შრომითი და მატერიალური რესურსები.

უკანასკნელ ხანს გაზის მოპოვება საბჭოთა კავშირში მკვეთრად გაიზარდა და წელიწადში 173 მილიარდ კუბმეტრს მიაღწია. საბჭოთა გეოლოგებმა აღმოაჩინეს გაზის უნიკალური საბადოები, რომელთა მარაგი ასტრონომიული ციფრებით განიზომება. ამგვარად გაზის მარაგის მიხედვით ჩვენი ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაზს ჩვენი ქვეყნისათვის, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, რომ სახალხო მეურნეობაში გამოყენებული ყოველი მილიარდი კუბური მეტრი გაზი სახელმწიფოს უზოგავს 18 მილიონ მანეთ კაპიტალურ დაბანდებას და 75 მილიონი მანეთის საექსპლოატაციო დანახარჯებს. გაზის გამოყენებით მიღებულმა ეკონომიამ მარტო 1959-1965 წლებში 7,8 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც ორჯერ აღემატება გაზის მრეწველობის განვითარებაზე დახარჯულ თანხებს. ამიტომ არის, რომ სკკპ XXIII ყრილობამ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ ამოცანად დასახა ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის შემდგომი განვითარება, რაც ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

მიმდინარე წელი საქართველოს გაზის მუშაკებისათვის საიუბილეოა. ათი წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში პირველად დაიწყო ქალაქებისა და სოფლების გაზიფიკაციის საქმეში ჩვენი ასეულობანი. ამ ხნის მანძილზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა დიდი სამუშაო შეასრულეს. სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამჟამად რესპუბლიკაში უკვე გაზიფიცირებულია 395 ათასი ბინა, მათ შორის 136 ათასი ბუნებრივი და 260 ათასი თხევადი გაზით. გაზის საწვავს დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მოლიონნახევარი ადამიანი, 9.100 კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტი და 620 გათბობის საქვაბე იყენებს. გაზის საწვავზე გადაყვანილია თითქმის ყველა დარგის — შავი მეტალურგიის, ქიმიის, საშენი მასალების, მანქანათსამშენებლო, მსუბუქი მრეწველობის საწარმოები.

თბილისისა და რუსთავის ყველა ძირითადი საწარმო გაზის საწვავს იღებს, რამაც მკვეთრად გაზარდა აგრეგატების წარმადობა, აამაღლა წარმოების კულტურა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რის შედეგადაც მიღებულია დიდი ეკონომია. ამასთან დიდი ქალაქების საპარო აუზი გაიწმინდა საწარმოთა ღუმელების და საქვაბეების ჭვარტლისა და ბოლისაგან.

რესპუბლიკაში აშენდა 600 კილომეტრამდე სიგრძის საქალაქო გაზგანმანაწილებელი ქსელი, ასამდე გაზმომარეგულირებელი სადგური და პუნქტი. დღეს ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობის 60 პროცენტი ბუნებრივი და თხევადი გაზით სარგებლობს. დიდი სამუშაოები მიმდინარეობს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, მათ შორის მთიან რაიონებშიც. ამ საქმეს ემსახურება „მთავარგაზის“ სისტემაში შემავალი 26 ორგანიზაცია — — სამი საწარმო სამმართველო, ექვსი ტრესტი, 15 სარაიონთაშორისო სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორა, სამშენებლო სამმართველო, საექსპერიმენტო-სარემონტო სახელოსნო და მრავალი უბანი. მათი მუშაკები გაზიფიკაციას აწარმოებენ რესპუბლიკის 102 ქალაქსა და 2.000-მდე სოფელში.

საქართველოს გაზის მეურნეობის ასე გაფართოებასა და გაზის გამოყენებას ხელს უწყობს ახალი ტექნიკა. სსრ კავშირში პირველად ჩვენში დაინერგა თხევადი გაზის 27-ლიტრიანი ბალონები გაუმჯობესებული საკეტმარეგულირებელი არმატურით, რაც საშუალებას მოგვცემს მოლიანად ავტომატური გავსადოთ ბალონებში თხევადი გაზის ჩასხმა. გაზიფიცირებულ გათბობის საქვაბეებში ვიყენებთ უსაფრთხოების ავტომატიკას და ავტომატურ რეგულირებას. მთავარგაზის საექსპერიმენტო-სარემონტო სახელოსნომ ითვისა რთული კარუსელური გაზგამვსები აგრეგატის გამოშვება, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს თხევადი გაზით ბალონების ავსების დროს. აღნიშნული სახელოსნოს მიერ გამოშვებული პროდუქცია შვიდი მოკავშირე რესპუბლიკის ლებელ სადგურებს გაეგზავნა.

მიმდინარე წელს შექმნილი საქართველოს სსრ ნავთობისა და გაზის მრეწველობის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საწოგადოება და მის სისტემაში შემავალი გაზის სახალხო მეურნეობაში გამოყენების სექცია მოწოდებული არის კვლევაც განავითარონ ტექნიკური პროგრესი გაზის მეურნეობაში.

ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა საგურამო-ჯასპის გაზსადენის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს დასავლეთ საქართველოსაკენ მიმავალი გაზსადენის პირველ რიგს.

ფართო სამუშაოები მიმდინარეობს თხევადი გაზით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გაზიფიკაციის საქმეშიც. უკვე დამთავრდა თხევადი გაზის ბაზის მშენებლობა ქ. ცხაკაიაში, დასასრულს უახლოვდება მშენებლობა ქ. გურჯაანში.

როგორია საქართველოს შემდგომი გაზიფიკაციის პერსპექტივები? მიმდინარე წელს გაზიფიცირებულ უნდა იქნას 81 ათასი ბინა, ე. ი. იმდენი, რამდენიც გაზიფიცირებული იყო ჩვენი მუშაობის პირველი ექვსი წლის მანძილზე. ეს ისაა ნიშნავს, რომ ყოველდღიურად იაფ საწვავს მიიღებს 300 ახალი ბინა. 1970 წლისათვის მაგისტრალურმა გაზსადენმა ქ. ქუთაისს უნდა მიაღწიოს. გაზიფიკაციის პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია გაზსადენის გაგრძელება ბათუმამდე, ფოთამდე, გაგრამდე, რითაც გაზიფიცირებულ იქნება თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო.

მუდმივ ძიებაში

ს. ხოსროშვილი,
ტრესტ „საქნავთის“ მმართველი.

◆

საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობა განსაკუთრებით მაღალი ტემპით განვითარდა უკანასკნელ წლებში. თუ 1960 წელს მოპოვებული იყო 148 მილიონი ტონა ნავთობი, 1965 წელს მისმა მოპოვებამ 243 მილიონ ტონას მიაღწია.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ნავთობისა და გაზის მრეწველობის შემდგომი განვითარება. 1970 წელს დასახულია ნავთობის მოპოვება აყვანილ იქნას 345-355 მილიონ ტონამდე, გაზისა კი 225-240 მილიარდ კუბურ მეტრამდე. ამასთანავე ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა სათბობის საერთო წარმოებაში გადიდდება 60 პროცენტამდე საცალად 1965 წლის 52 პროცენტისა. ასეთი ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ამ წიაღისეულთა მდიდარი საბადოების მეტი რაოდენობით აღმოჩენა და დამუშავება.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ნავთობისა და გაზის რესურსებით და, რაც მთავარია, არსებობს მათი კიდევ უფრო მაღალი ტემპით ათვისების პირობები.

ნავთობისა და გაზის — ამ უაღრესად ეკონომიური სათბობის მაძიებლებმა სამეცნიერო-კვლევითი და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების გაფართოებით საგრძნობლად გაადიდეს ჩვენს ქვეყანაში ნავთობისა და გაზის ზრდის პერსპექტივები. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აღმოჩენილი ნავთობის მარაგი შეადგენს იმდენს, რამდენიც გამოვლინებული იყო ნავთობმომპოვებელი მრეწველობის განვითარების წინა ათწლეულებში.

საქართველოს ნავთობმომპოვებელი მრეწველობა ძველთან მთლად კუსტარული იყო. ნავთობის მოპოვება პერიოდულად წარმოდგება პრიმიტიული ხერხებით — ფხრიწებიდან, მცირე სიღრმის ჭებიდან.

1930-1939 წლებში ჩატარებულ ნავთობის და გაზის საბადოების ძებნა-ძიებით სამუშაოთა შედეგად რესპუბლიკის ოთხ ნავთობიან რაიონში — პატარა შირაქში, მირზაანში, ნორიოსა და სუფსაში დადგენილ იქნა სამრეწველო მნიშვნელობის მცირე და საშუალოდენტიანი საბადოები, ხოლო 1956-1960 წლებში ამ საბადოებს საცხენისის უბანზე გამოვლინებული ნავთობის საბადოც მიემატა. ამჟამად ნავთობის მოპოვება საქართველოში ამ საბადოებიდან წარმოებს. გარდა ამისა, რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მრეწველობის ძირითადი საქმიანობა უფრო პროდუქტიული საბადოების ძებნა-ძიებითი სამუშაოების წარმოებით განისაზღვრება. ამიტომ საქართველოში ნავთობის მოპოვების განვითარების ძირითადი საშუალება — საექსპლოატაციო ჭაბურღილების გაყვანა დიდიხანია უკვე აღარ წარმოებს.

მიმდინარე ხუთწლედის პირველი, ორი წლის გეგმები რესპუბლიკის ნავთობმომპოვებლებმა გადაჭარბებით განაღდეს. ასევე წარმატებით შეასრულეს ნავთობგადამუშავების გეგმა. ახლა რესპუბლიკის ნავთობმომპოვებლები კვლავ წარმატებით განაგრძობენ შრომას მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მიმდინარე წლის 7 თვის გეგმა შესრულებულია 103,2 პროცენტით, ნავთობის გადამუშავებისა კი — 100.8 პროცენტით. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სათბობ ბალანსში რესპუბლიკის ნავთობის ხვედრითი წონა 2ნიც ძალიან მცირეა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში წარმოებულ ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებით სამუშაოთა შედეგები მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მრეწველობის სწრაფი აღმავლობის პერსპექტივებს ქმნის.

ამჟამად ნავთობისა და გაზის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოების აღმოჩენის პერსპექტიული უბნების ხაზრთო რიცხვი საქართველოში რამდენიმე ათეულს აღწევს. ძებნა-ძიების სამუშაოების წარმოების პროცესში მიღებულმა ნავთობისა და გაზის ეფექტურმა გამოვლინებებმა ტარიანის, ილდოყანის, სამგორისა და სუფსის უბნებზე განაპირობა ამ უბნებზე და გეოლოგების თვალსაზრისით ანალოგიურ რაიონებში საძიებო ჭაბურღილების გაყვანის, ბურღვითი სამუშაოების დაწყების პერსპექტიულობა. მიმდინარე ხუთწლედში ღრმა ჭაბურღილები დაიდგმება კიდევ ახალ უბნებზე: შირაქში, ილდოყანში, ხვედურეთში, განახლებასა და გურთაში. ამასთან კიდევ უფრო გაძლიერდება გეოლოგიური და გეოფიზიკური ძიებითი სამუშაოები.

რესპუბლიკის ნავთობმომპოვებლებს, მაძიებლებსა და მბურღავებს სულ უფრო ღრმად გაჰყავთ ჭაბურღილები, სწავლობენ ნიადაგის გეოლოგიურ ჭრილებს, სინჯავენ და იკვლევენ საბადოთა საექსპლოატაციო პირობებს და ბურღილსათვის რაიონების მზადების ხარისხს. მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ნავთობმომპოვებლების მიერ განხორციელებული ასეთი ღონისძიებების შედეგად მიღწეულია ნავთობმომპოვების ძალიან რენტაბელობა და მიღებულია ათეულ ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება. ქაღლონის უბანზე № 22 ჭაბურღილის მბურღავებმა (ჭაბურღილის ოსტატი გ. ბერიაშვილი) და სარეწაო-გეოფიზიკური ექსპედიციის კაროტაჟულმა პარტიამ (უფროსი ნ. ზაირიკოვი) კარგი მუშაობით კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება დაიმსახურეს. მოწინავეთა შორის არიან მირზაანის ნავთობსარეწაოს უფროსი ინჟინერი ა. ნიკოლაიშვილი, ლოლოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი შ. აბრამიშვილი, სარეწაო-გეოფიზიკური ექსპედიციის ოსტატი თ. პაპიაშვილი, ჭაბურღილების დასინჯვის კანტორის ოსტატი ა. იაკობიძე, ბურღვის ოსტატები ა. მუხიაშვილი, მბურღავები ვ. ჭელიშვილი, ა. იმედაშვილი, გ. კოტლამაზაშვილი, გ. ჯალიაშვილი, ნ. ბურგენიძე და მრავალი სხვა. ისინი ყველანი იმისათვის იბრძვიან, რომ რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მრეწველობის კოლეტივი ვადამდე გაანაღდოს მიმდინარე წლისა და ხუთწლედის გეგმები და ღირსეულად შეხვდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

• • •

წარმატებით ხვდება ნავთობის და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღეს ჩვენი რესპუბლიკის ნავთობის უდიდესი საწარმო — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. წლის დასაწყისიდან აქ ეგეგმის ზევით გამოშვებულია ასობით ტონა ნავთობი. ამ სურათზე ალბეგდილია ქარხნის ერთ-ერთი დანადგარის მოწინავე მუშათა ჯგუფი. მარცხნიდან — მექანიკოსი ვ. წულაძე, უფროსი ოპერატორები ვ. აბურჯანია, დ. გუმბერიძე, გ. ჯიქიძე, ოპერატორი ვ. ეგიბერიძე, უფროსი ოპერატორი კ. მოდებაძე, უბნის უფროსი ი. ხარლამპიდი და ზეინკალი ბ. ბუბუაძე.

ფოტო ს. კილაძისა.

ფვრეზის ბარაქა

ვ. მირიანაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მებაღეობის ტრესტის მმართველი.

◆

საქართველო სამართლიანად არის აღიარებული კულტურული ვაზის კერად. ჩვენში ტყუილად კი არ ამბობენ, ქართველი კაცი და ვაზი ამ ქვეყნად ერთად გაჩნდნენო. ამიტომ არის, რომ ისტორიულ წარსულშიც და ახლაც საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მევენახეობას უჭირავს. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მევენახეობის განვითარებას არ ახლავს ისეთი დიდი მასშტაბები, როგორიც ამ უკანასკნელ წლებში იყო.

ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის ნამდვილი განვითარება და ყურძნის წარმოების სწრაფი გადიდება 1962 წლიდან იწყება, როცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საზოგადოებრივი მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხი.

ამ ლადგენილების შემდეგ თუ რა დიდი მუშაობა იქნა გაწეული, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: 1962 წლის პირველი იანვრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 44.100 ჰექტარი ვენახი იყო, აქედან კოლმეურნეობებში 31.500 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 12.600 ჰექტარი. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე საზოგადოებრივ სექტორში ვენახების ფართობი თითქმის ერთიორად გადიდდა. 1968 წლის პირველი იანვრისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახის ფართობმა 80.300 ჰექტარს მიაღწია. აქედან 56 ათასი ჰექტარი კოლმეურნეობებს ეკუთვნის, ხოლო 24.300 ჰექტარი — საბჭოთა მეურნეობებს.

1962 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 80.000 ტონა ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს. აქედან კოლმეურნეობებზე 56.000 ტონა ყურძენი მოდის. ხოლო საბჭოთა მეურნეობებზე — 24.000 ტონა. გასულ წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 136.000 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს, ხოლო მიმდინარე წელს ვალდებულება იკისრეს ეს ციფრი 170 ათას ტონამდე აიყვანონ. როგორც ხედავთ, საზოგადოებრივ სექტორში 1961 წლის დონესთან შედარებით ყურძნის წარმოება და დამზადება თითქმის ორჯერ და მეტად გაიზრდება. თუ 1962 წელს ყველა სექტორიდან მთლიანად ჩაბარდა 146 ათასი ტონა ყურძენი და მასში მოსახლეობის ხვედრითი წონა შეადგენდა 45 პროცენტს, 1968 წელს უნდა ჩაბარდეს 250 ათასი ტონა ყურძენი. აქედან მოსახლეობიდან მიღებული ყურძნის ხვედრითი წონა მხოლოდ 32 პროცენტი იქნება.

ეს ციფრები აშკარად მეტყველებენ იმ დიდი მუშაობის შესახებ, რაც გასწიეს საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარებისათვის.

ყოფილ საუფლისწულო და კერძო მამულების ბაზაზე შექმნილ წინანდლის, ნაფარეულის, შუკუზნის, მანავის, ვარციხისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებს მხოლოდ ძველი გეოგრაფიული სახელწოდებებიღა შერჩათ. აქ ახლა თითქმის ყველაფერი განახლდა, ახალი ზვრები გაშენდა.

მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ 48 ჰექტარი ვენახი ჰქონდა. ამჟამად ამ მეურნეობაში 1.300 ჰექტარი ვენახია. წინანდლის, ნაფარეულის და შუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ვენახის ფართობი თვითეულში 50-200 ჰექტარს არ აღემატებოდა. ამჟამად თვითეულ მათგანს 800-1.300 ჰექტარამდე ზვრები აქვს. ამასთან ერთად ძველი მეურნეობის განვითარების პარალელურად უკანასკნელ წლებში ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე რესპუბლიკაში შეიქმნა ოცდაორი ახალი მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც დღეისათვის უკვე რენტაბელური არიან და ყოველწლიურად რესპუბლიკის ბიუჯეტს დიდი რაოდენობით მოგებას აძლევენ.

გურჯაანის რაიონის სოფელ შროშის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელიც შექმნილია კოლმეურნეობის ბაზაზე, შარშან 550 ათასი მანეთი მოგება მოგვცა. მიმდინარე წელს შრომელები სანელმწიფოს 800 ათას მანეთამდე მოგებას მისცემენ.

ავიღოთ კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ეს მეურნეობა შექმნილია ადრე არსებული 9 კოლმეურნეობის ბაზაზე. იმ კოლმეურნეობებს მხოლოდ 45 ჰექტარი ვენახი და 21 ჰექტარი ბაღი ჰქონდათ. ამჟამად ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას 1.022 ჰექტარი ვენახი აქვს, ხოლო ხეხილის ბაღი 120 ჰექტარზეა გაშენებული.

ოკამიდან არც თუ ისე შორს არის გორის რაიონის ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობა. აქ 1.410 ჰექტარი ვენახი და ხეხილის ბაღი აქვთ. ამ საბჭოთა მეურნეობის შექმნამდე კი მხოლოდ 89 ჰექტარი ბაღ-ვენახი იყო ადრიცხული.

დღეისათვის თბილისის ირგვლივ მდებარე რაიონებში შექმნილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები არა მარტო დიდ როლს ასრულებენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისისა და ქალაქ რუსთავის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში, არამედ, ასეთი მეურნეობების შექმნამ დაამშვენა და გაალამაზა თბილისის შემოგარენის ნახევრად უდაბნო ქცეული ველები.

ვის არ ახსოვს ძველი სამგორი! ქარი და სიცხე-პაპანაქება ყველაფერს ახმობდა. საბჭოთა ადამიანებმა ირის წყლით გული გაულბეს გამომშრალ მიწას. ახლა სამგორისა და ვარციხეულის საბჭოთა მეურნეობების ქარსაფარი ზოლების მწვანე კვადრატებში ედემივით გამოიყურება ზვრები და ხეხილის ბაღები.

თბილისი-გორის გზატკეცილის გაყოლებით გადაშლილმა ველმა უკანასკნელ წლებში მთლად იცვალა სახე. გაშენდა ვენახები, ხეხილის ბაღები, გზის ორივე პირის ამშვენებს მინდორსაცავი ზოლები. წეროვნის, ქსნის, ოკამის, კოღისწყაროს და შავშვების ტერიტორიაზე უცხო მგზავრიც კი ადვილად დარწმუნდება, რომ საქართველო ვენახოვანი და ხეხილოვანი ქვეყანაა.

საბჭოთა მეურნეობებში ვენახების ფართობის ზრდასა და ყურძნის მოსავლის გადიდებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება ტრესტის საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი, ოდრგები რენტაბელური გახდნენ. შარშან 9 მილიონ მანეთამდე მოგება მივეცით ქვეყანას. აქედან ორი მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება იყო. რენტაბელობის სიერთო დონე 44 პროცენტს აღემატება. მუუზნის საბჭოთა მეურნეობამ დიდი მოგება — 960 ათასი მანეთი მიიღო; ახმეტის საბჭოთა მეურნეობამ — 691 ათასი მანეთი, ყულარისამ — 658 ათასი მანეთი, ნაფარეულისამ — 648 ათასი მანეთი, ხირსისამ — 600 ათასი მანეთი და შროშისამ — 550 ათასი მანეთი.

აღსანიშნავია, რომ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში რენტაბელობის ამაღლება, მათი შემოსავლის მკვეთრი გადიდება ერთი რომელიმე ღონისძიების შედეგი კი არ არის, არამედ მეურნეობის გაძღოლის მთელი სისტემის სრულყოფისა

საუკთესო ხელოვნება

მსოფლიოს დეპეშათა საგენტოები იუწყებიან

ქრონიკა პროგლემები

დიდი ნარმატება

ქაბული, 30 აგვისტო. (საკდესი). ავღანეთის დედაქალაქის მცხოვრებთა მორის დიდი წარმატება აქვს ქაბულის მეოთხე საერთაშორისო გამოფენას. გამოფენაში მონაწილეობს თხუთმეტი სახელმწიფო, რომელთა შორისაა საბჭოთა კავშირი.

განსაკუთრებით დიდია ინტერესი საბჭოთა პავილიონისა და იქ წარმოდგენილი ექსპონატებისადმი. გამოფენის მუშაობის მარტო პირველ დღეს იგი დაათვალიერა ათეულ ათასობით კაცმა.

28 აგვისტოს გამოფენაზე აღინიშნა „საბჭოთა კავშირის დღე". ამის გამო სსრ კავშირის საელჩომ ავღანეთში გამართა დარბაზობა. დარბაზობის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და საბჭოთა ექსპონატებს.

პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარემ ა. ხ. დავიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მიღწევები კეთილსაყოფიერ გავლენას ახდენენ ავღანეთის ეკონომიურ განვითარებაზე. მეზობელ მეგობარ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობით ავღანეთში უკვე გაყვანილია ათასობით კილომეტრი თანამედროვე გზები, აშენდა საირიგაციო სისტემები, შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა ენერგეტიკა, დაზვერილია ქვანახშირისა და რკინის მადნის უდიდესი მარაგი, წარმატებით ვითარდება გაზის მრეწველობა, აღმოჩენილია ნავთობი.

სსრ კავშირის ვრცელ, ლამაზად გაფორმებულ პავილიონში იმართება გულთბილი საუბრები, საქმიანი შეხვედრები. ავღანელი მეწარმენი და კომერსანტები დიდ ინტერესს იჩენენ ჩარხებისადმი, ძრავებისა და სხვა სამრეწველო მოწყობილობისადმი. შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი გამოხმაურებაა. მათი ავტორები წერენ, რომ დიდათ კმაყოფილი არიან საბჭოთა პავილიონის დათვალიერებით და მადლობას უხდიან საბჭოთა კავშირს, რომ ავღანელ ხალხს უწევს უანგარო და მეგობრულ დახმარებას.

კიდევ ერთი კატასტროფა

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა „ბ-52" ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენის კიდევ ერთი კატასტროფა.

გუშინ ეს გიგანტური რვამოტორიანი თვითმფრინავი ჩამოვარდა და აფეთქდა კოსმოდრომის რაიონში ფლორიდის შტატი კენედის კონცხზე. როგორც ასოციეიტედ პრესის საagენტო გვატყობინებს, ეკიპაჟის შვიდივე წევრი პარაშუტით გადმოხტა.

მაკ-კოის აეროპაზის წარმომადგენელმა, სადაც ბაზა ჰქონდა ბომბდამშენს, ცდილობდა რა ჟურნალისტთა დამშვიდებას, განაცხადა, რომ კატასტროფაში მოყოლილ თვითმფრინავზე არ იყო ატომური იარაღი. მიუხედავად ამისა, მან აღიარა, რომ „ბ-52" სტრატეგიული თვითმფრინავები საწვრთნელი ფრენის დროს ხშირად ატარებენ ატომურ იარაღს.

ამერიკელ კომუნისტთა პროგრამა

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორლდმა" გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის მეორე ნაწილი, რომელშიც გაკრიტიკებულია არსებული დაბალანსირების სისტემა. აგრეთვე წამოყენებულია ნამდვილი დემოკრატიის განვითარების წინადადებანი.

შეერთებული შტატების მშრომელებს ეკისრებათ გადასახადების ძირითადი ტვირთი და ეს ტვირთი განუწყვეტლივ იზრდება, ხაზგასმულია კომუნისტების პროგრამაში. საშუალო ამერიკელის ოჯახი მთავრობას სხვადასხვა გადასახადის სახით უბრუნებს თავისი შემოსავლის დაახლოებით 30 პროცენტს. დაბეგვრის ამერიკული სისტემა, აღნიშნულია პროგრამაში, ისეთია, რომ გადასახადების ძირითადი ნაწილი მცირე ტვირთად აწვება მოსახლეობის მცირეხელფასიან ნაწილს, რაც ფაქტიურად მშრომელთა ძარცვის ფარული ფორმაა.

ამერიკელი კომუნისტები მოითხოვენ დაბეგვრის სისტემის რეორგანიზაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისინი მოითხოვენ გაუქმდეს მცირე ხელფასიანი ოჯახების ყოველგვარი გადასახადი და ამავე დროს გადასახადები გაუდიდდეს მაღალხელფასიან უმცირესობას, აგრეთვე გადიდდეს ფირმებისა და კორპორაციების მოგების გადასახადები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნამდვილი დემოკრატიის განვითარების პროგრამის წამოყენებით ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, უარი თქვან სახელმწიფოს მართვის პოლიციურ მეთოდებზე. კომუნისტებს საჭიროდ მიაჩნიათ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება, ზანგ და ომის მოწინააღმდეგე მოღვაწეთა დევნის შეწყვეტა, თითოეული მოქალაქის პირად თავისუფლებათა ზუსტად დაცვა.

პროგრამა მოითხოვს აგრეთვე გაუქმდეს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის საქმიანობის ყოველგვარი შეზღუდვა,

ედმუნდ მასკი

ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატია

ჩიკაგო, 30 აგვისტო. (საკდესი). ჰუბერტ ჰემფრიმ, პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან, აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევანი შეაჩერა სენატორ ედმუნდ მასკიზე.

ე. მასკი ჯონსონის მთავრობის ახლანდელ საგეტნმო პოლიტიკის მომხრეა. იგი ამ პოლიტიკას იცავდა, კერძოდ, დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე პარტიის საარჩევნო პროგრამის განხილვის დროს.

რევოლუციის ერთვნული საბჭოს მოწოდება

კონგო

ბრაზავილი, 29 აგვისტო. (საკდესი). კონგოს ინფორმაციის საagენტომ დღეს გამოაქვეყნა ბრაზავილის კონგოს რევოლუციის ეროვნული საბჭოს მოწოდება რესპუბლიკის ყველა აქტივისტისადმი.

ამ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ რევოლუციის ეროვნული საბჭოს შექმნა გამოხატავს მტკიცე მისწრაფებას „ეროვნული ერთობისა და პროგრესისადმი" და არა „ხელისუფლების უზურპაციის, დიქტატურასა და ძალის ბრმად გამოყენებას", როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ძირითადი მიზეზი კრიზისისა, რის ვამოც წარმოიშვა რევოლუციის ეროვნული საბჭო, პარტიისა და დემოკრატიულად არჩეული სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის პარალიზაციაა.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ „პარტიის, ახალგაზრდობის, პროფკავშირების საქმიანობის საყოველთაო პარალიზაცია" ძირს უთხრიდა „ხელისუფლების ავტორიტეტს, ეროვნულ ერთობას, თესავდა უნდობლობასა და სიძულვილს". მოწოდებაში აღნიშნულია, რომ „ერის სასიცოცხლო ძალებს არ შეეძლოთ გულგრილად ეყურებინათ, თუ როგორ მიექანებოდა ქვეყანა უფსკრულისაკენ" და „საშუალება მიეცათ გაენადგურებინათ რევოლუციური ძალები". „კონგოს ერთობის ხსნის მიზნით, — ნათქვამია მოწოდებაში, — კონგოს სახალხო არმიამ და სამოქალაქო თავდაცვის კორპუსმა გადაწყვიტეს ემოქმედათ. მათ რევოლუციის ეროვნულ საბჭოს დაავალეს გადაწყვიტოს კრიზისი და ქვეყანას მისცეს ახალი ინსტიტუტები".

საბჭო აქტივისტებს მოუწოდებს „გამოიჩინონ სიმტკიცე ძირგამომთხრელი ცდების მიმართ" და იზოლაციაში მოაქციონ ისინი, „ვინც ეგოისტური მოსაზრებებით" ხალხის ერთ ნაწილს ამხედრებს მეორის წინააღმდეგ და არ ესმის, რომ რევოლუციის ეროვნული საბჭოს მოთმინება სისუსტის ნიშანი კი არა, არამედ ეროვნული ერთობისა და მშვიდობისადმი მისწრაფებაა".

მოლაპარაკება კვიპროსში

ნიკოზია, 29 აგვისტო. (საკდესი). აქ დაიწყო კვიპროსის ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენელთა მოლაპარაკების მეორე ეტაპი. კუნძულის ბერძენთა თემს წარმოადგენს კვიპროსის პარლამენტის თავმჯდომარე გ. კლერიდისი, თურქებისას — მისი ლიდერი რ. დენქტაში.

გაზეთ „ხალკინ სესის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში რ. დენქტაშმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ისეთი პირობები, რომ 1963 წლის ამბები აღარასოდეს გამეორდეს. კუნძულის ორივე თემმა, განაცხადა მან, მშვიდობიანად უნდა ითანამშრომლოს ცხოვრების ყველა დარგში.

ინგლისი



ლონდონში დემონსტრაცია გამართეს მედიცინის დების, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა.

... ოლოდ

ფაქტები

● ბრიუსელი, 29 აგვისტო. (საკდესი). ბელგიის მთავრობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა როდეზიასთან. ეს გამოცხადა ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ასეთი ღონისძიება მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად, და ბელგიამ შესაბამისი წერილი გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს.

● კარაკასი, 30 აგვისტო. (საკდესი). ცნობილი ვენესუელელი მოღვაწე პროფესორი ფედერიკო ბრიტო ფიგეროა, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს ვენესუელის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა. დაპატიმრების წინ ბრიტო ფიგეროამ ჟურნალისტებისათვის გააკეთა განცხადება, რომელშიც მხარი დაუჭირა მოკავშირე სოციალისტური ქვეყნების ერთობლივ მოქმედებას ჩეხოსლოვაკიაში.

● ვაშინგტონი, 30 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ნევადის შტატის გამოსაცდელ პოლიგონზე მოახდინეს ატომური იარაღის მორიგი მიწისქვეშა აფეთქება. ეს აქ განაცხადა ხუთშაბათს ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა.

წელს ეს უკვე მე-18 ატომური გამოცდაა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აგრესორი პროტესტს აცხადებს

კაირო, 29 აგვისტო. (საკდესი). ... საagენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომელიც ამოწმებს ინფორმირებულ წრეებს ისრაელმა დაიწყო პონტონის ხიდების გადება და სამხედრო ტექნიკის გადატანა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის რაიონში. ისრაელის ჯარები, რომლებიც სინის ნახევარკუნძულზე არიან განლაგებული, ამ ბოლო სამი დღის მანძილზე საბრძოლოდ გაამზადეს. ამ რაიონში შეიმჩნევა ჯავშანსატანკო ნაწილების მოძრაობა. ისრაელის მდგომარეობა, აღნიშნულია ცნობაში, ახლა ბევრად ჰგავს ივნისის ომის წინა სიტუაციას.

ინფორმირებულ წრეებში, აღნიშნავს შემდეგ კორესპონდენტი, აცხადებენ, რომ ისრაელის რვა სატანკო ბრიგადიდან ხუთი თავმოყრილია სინის ნახევარკუნძულზე და იორდანის ხეობაში. მათ ზურგს უმაგრებს 15 ქვეითი ბრიგადა.

ამმანი, 30 აგვისტო. (საკდესი). ისრაელის მხედრიონი არ წყვეტს შეიარაღებულ პროვოკაციებს იორდანისთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე. იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა გუშინ აქ განაცხადა, რომ ისრაელის ჯარებმა დღისით ნაღმსატყორცნებისა და 106-მილიმეტრიანი ქვემეხების ცეცხლი დაუშინეს იორდანიის პოზიციებს ბაკურის რაიონში, მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში. ამ სროლის დროს იორდანიის ჯარებს ზარალი არ მოსვლიათ.

კავგოჯის გაძღანყვეტილება

ანომპენი, 30 აგვისტო. (საკდესი). კამბოჯამ კვლავ ცხადყო თავისი მტკიცე გადაწყვეტილება განახორციელოს ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის პოლიტიკა. კამბოჯის მთავრობამ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც უაღრესად უარყოფითად ეკიდება სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონალურ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

„კამბოჯამ, — ნათქვამია განცხადებაში, — დიდ ხანია განაცხადა, რომ აბსოლუტურად გამორიცხავს თავის მონაწილეობას რომელიმე იმპერიალისტურ მილიტარისტულ ორგანიზაციაში, როგორიც ასეთნაირ ... ...

ჩვენს ყველა-ჟანრში

გვწერენ „კომუნისტის“ მკითხველები

ისვენებენ, მოგზაურობენ

□ **ფოთის** მეზღვაურთა პროფკავშირის ნავსადგურის კომიტეტმა მიმდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში 39 ნავსადგურელს მისცა დასასვენებელი საბლის, ხოლო 22-ს სანატორიუმების საგზურები.

სანატორიუმის საგზურებით ესენტუკში დაისვენა მუშა ე. ვაშუკმა, მახინჯაურში — მტვირთავმა ტ. დვალიშვილმა, ახტალაში — ცენტრალური მექანიკური სარემონტო სახელოსნოს ოსტატმა გ. შეხოცოევმა, მენჯში — მეამწე მ. უუფარაძემ, გაგრაში — დურგალმა ს. ფედოიანმა, ცაიშში — მუშა ი. შუტკინმა.

ორდღიანი დასვენების დღეებში ეწყობა ექსკურსიები მეზობელ რაიონებში. ნავსადგურის მუშაკები იყვნენ რიწას ტბაზე, ბიჭვინთაში, ენგურჰესის მშენებლობაზე და სხვა ადგილებში.

შ. ფარღლასავა.

□ **ზუგდიდის** ჩაის საწნეხი ფაბრიკის ახალგაზრდობამ მოაწყო ლენინური კომკავშირის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ექსკურსია. ექსკურსანტები ვარძიის დათვალიერების შემდეგ ესტუმრნენ ენგურჰესის მშენებლებს ჯვარზენში, დაათვალიერეს ენგურჰესის უნიკალური კაშხალის მშენებლობა, იყვნენ ოლორაში, საბერიოში; ესაუბრნენ მშენებლებს და გაეცნენ კაშხალის მშენებლობის პროცესებს.

ბ. ალუბაია.

□ **ორჯონიკიძის** რაიონის სატყეო მეურნეობის კოლექტივი შინაარსიანად ეყენებს შაბათ-კვირის დასვენებას.

მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი ოჯახის წევრებთან ერთად ახლახან ექსკურსიაზე ვიყავით. პარასკევს სამუშაოს დამთავრების შემდეგ დავტოვეთ ორჯონიკიძე. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ მცხეთის ღირსშესანიშნაობანი. გავიარეთ ყაზბეგი და ვინახულეთ ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი. შემდეგ გავეცანით ქ. ორჯონიკიძის ისტორიულ ადგილებს. პიატიგორსკში შევჩერდით იმ ადგილას, სადაც მოკლეს დიდი რუსი პოეტი მ. ლერმონტოვი...

ვისეირნეთ შავი ზღვის სანაპიროზე. მოვიხიბლეთ სოჭის, რიწის ტბის, სოხუმის ბუნებით. გზად ზუგდიდში გამოვიარეთ და მისი ღირსშესანიშნაობანი დავათვალიერეთ.

გ. ხარაძე,
ორჯონიკიძის რაიონის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.

„მესამე სემესტრი“ დამთავრდა

ასობით სტუდენტი შრომობდა ზაფხულის ორდადგების პერიოდში ენგურჰესზე. ორი თვის განმავლობაში სტუდენტებმა მრავალი ობიექტის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებით დაამთავრეს „მესამე სემესტრი“.

ძალოვანი კვანძის სამმართველოს კლუბში გაიმართა სალამო, რომელიც სტუდენტ-მშენებელთა გაცილებას მიეძღვნა. მისასალმებელი სიტყვებით გამოსულებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სტუდენტთა თაოსნობა დიდად დაეხმარა ენგურჰესელ მშენებლებს. ეს კარგი საწყისია კომკავშირის 50 წლისთავის იუბილესათვის.

სტუდენტებმა პირობა დადეს დასახმარებლად მომავალ წელსაც ესტუმრონ ენგურჰესს — ამ დამკვრელურ მშენებლობას.

ლ. ბარძაია.

სოფლის ექრანებთან

აბაშა. (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში სერიოზული ყურადღება ექცევა მშრომელთა კინომომსახურებას. ახალი კინოდანადგარები მოეწყო სოფლებში — გეზათში, ნაესაკოვოში, ძველ აბაშასა და ჭოლობანში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კინოფილმებს დაესწრო 128.606 მაყურებელი, რაც გაცილებით მეტია წინა წლების შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე.

ცხელი კერძები მინდვრად

გურჯაანი. (საკ. კორ.). კარგი ტრადიცია დამკვიდრდა რაიკოოპკავშირის საზოგადოებრივი კვების ქსელში — მინდვრად ცხელი კერძების დატარებამ ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას. აღსანიშნავია შაშიანის სასოფლო კოოპერატივის საზაკვების მუშაკთა სიბეჯითე. მათ ყოველდღიურად ასობით ცხელი კერძი მიაქვთ შრომის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის.

უმჯობესდება...

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). რაც წლები გადის, მით უფრო უმჯობესდება რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა. მოსახლეობას ემსახურება რაიონული საავადმყოფო 75 საწოლით, სამშობიარო სახლი, 10 საუბნო საავადმყოფო, 2 ამბულატორია, 22 საფერშლო პუნქტი, 7 საბავშვო ბაღი და. სხვ. კარგად მუშაობენ სალნინოს სამკურნალო კომპლექსის, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ბანძის, ნაჯახოს საექმო უბნების კოლექტივები.

გათვალისწინებულია რაიონის სამკურნალო ქსელის შემდგომი გაფართოება.

მოიგეს „მოსკვიჩები“, „ზაპოროჟეცი“

□ **„საქსოფლტექნიკის“** მაიაკოვსკის რაიგანყოფილების ინჟინერ-მექანიკოსმა ი. წითაძემ რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს ფულისა და ნივთების მიმდინარე წლის მეშვიდე გამოშვების 19504 სერიის № 073 ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

გ. მუკანანაძე.

□ **თელავის** საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის თანამშრომელმა ე. ბაღინოვმა დოსაფის თელავის კომიტეტში წარადგინა 1967 წლის ავტომოტოლატარიის ბილეთი № 331485, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი-408“. („კომ.“ კორ.).

□ **საჩხერის** რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტობუსის მძღოლმა გ. ცუცაკირიძემ წარმოადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1968 წლის მეშვიდე გამოშვების 20604 სერიის № 899 ლატარიის ბილეთი, რომელსაც ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

ბ. გოგოლაძე,
რაიონის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

ალი ათონი. ათასობით დამსვენებელი მოხიბლულა ამ თვალწარმტაცი კურორტის ბუნებით. აქვე ზურმუხტისფერ ტბაზე ბინა დაუდგეთ ულეყარაო გედებს. აი ახლაც სურათზე ხედავთ როგორ უშიშრად მოცურავს ნაპირისაკენ ეს მშვენიერი ფრინველი — იგი მიჩვეულია ადამიანურ ალერსს...

ფოტო მ. ტარასოვისა.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ლოცვანი ზურაბ ფხაკაძე

ამ ჩასკვნილ, ყოჩაღ მეზღვაურს კარგად იცნობენ ბათუმის ნავსადგურში. იცნობენ ყველა საბჭოთა და უცხოურ გემებზე, რომლებიც ღუზას ბათუმის ლამაზ რეიდზე უშვებენ.

მას პროფესია ავალებს პირველი შვებების ნავსადგურში შემოსულ ხომალდს, სტუმართმოყვარულად მიესალმოს მას, მიაცილოს ნავსადგურში, მიაყენოს გემი ნაპირზე...

ზღვის სიყვარული თავიდანვე ჩაენერგა ზურაბს. დიდხანს არ უფიქრია, აირჩია მეზღვაურის პროფესია და შევიდა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ტექნიკოსი გემთმძღოლი ზ. ფხაკაძე გამწესებულ იქნა ჩრდილოეთის სასელმწიფო სანაოსნოში... გავიდა წლები. მშობლიური ნაპირები სულ უფრო იზიდავდნენ ზურაბს, რომელმაც უკვე მიიღო შორეული ნაოსნობის კაპიტნის დიპლომი. იგი გადაყავთ სამსახურში შავ ზღვაზე და მალე გზავნიან მშობლიურ ბათუმში. აქ ზ. ფხაკაძემ ითივისა ახალი სპეციალობა და დანიშნულ იქნა ბათუმის ნავსადგურის ლოცმანად.

ზღვა ხან მშვიდი და ალერსიანია, ხან კი მრისხანე და საშიში. ზურაბ ფხაკაძეს ცოტა როდი ჭქონია ძნელი, ქარიშხლიანი დღე და ღამე. ლოცმანისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ზურაბ ფხაკაძეს ძნელ ქარიშხლიან დღეებში არაერთხელ ჩაუბარებია გამოცდა უმაღლეს ლოცმანურ ოსტატობაზე.

ს. კილაძე.

სურათზე: ზ. ფხაკაძე.
ფოტო ავტორისა.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

თანატოლებმა შვილი გაძღამირჩინეს

ეს ამბავი ამ ზაფხულს მოხდა. ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში სტუმრად იყვნენ თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მოსწავლეები თამაზ გახუტიშვილი და შოთა კაკაბაძე. ერთ წვიმიან დღეს მათ ტყეში გასეირნება გადწყვიტეს კინოაპარატით. სტუმრებს მეგზურობას უწევდნენ მათი თანატოლები — ჩემი შვილი მეხუთეკლასელი ველა ქიტაშვილი და მისი მეგობარი გივი გახუტიშვილი.

სოფელს რომ გასცდნენ, მოულოდნელად წინ მიმავალმა ველამ ხელი წაავლო ელექტროსადენს — მან ვერ შენიშნა წყაცული ელექტრობოძი. დენმა მიწაზე დასცა ველა. მაგრამ მისი ამხანაგები არ დაიბნენ. სასწრაფოდ მოძებნეს ხმელი ხის ტოტი და მისი საშუალებით სადენი „აგლიჯეს. შემდეგ კი მათვე აღმოუჩინეს პირველი დახმარება...

ველას საბოლოო გამოჯანმრთელებაში თავისი წვლილი შეიტანა სოფლის ექიმმა ლ. კრუგლიკოვამ. მაგრამ გაბედული, მოსაზრებული პიონერები რომ არა, ჩვენს ოჯახს უბედურება არ ასცდებოდა.

მადლობა სკოლასა და პიონერულ ორგანიზაციას, სადაც ასეთი კარგი ბავშვები იზრდებიან.

რუსუდან ქიტაშვილი,

მდინარეს გამოსტაცა

ამას წინათ კვაისაში მდინარე ჯეჯორის ნაპირზე ბავშვები თამაშობდნენ. მოულოდნელად პატარა მუხრად ალბოროვი მოდიდებულ მდინარეში გადავარდა. ბავშვებმა ნოოკი ატეხეს. შემთხვევის ადგილზე გაჩნდა კვაისის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ვალიკ ხუციევი. მან სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი და მდინარეში გადაეშვა. მალე პატარა მუხრადი გაბედულმა ბიჭუამ ნაპირზე გამოიყვანა.

რ. ჯიოევი.

ᲡᲐᲛᲔᲪᲐᲜᲘᲗ — ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ!

„ნყაროს ნყალი“ ბინაში

მალე ლენინგრადელები თავიანთ ბინებში შეძლებენ მოაწყონ ოზონის დეგუსტაცია. თუმცა ისინი თვითონ ოზონს როდი გასინჯავენ, არამედ ჩვეულებრივ სასმელ წყალს, რომელიც ამ „შესქელებული ჟანგბადის“ საშუალებით არის გაწმენდილი. ისინი, ვინც ჯერჯერობით მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში იგემა ოზონით დამუშავებული წყალი, ამტკიცებენ, რომ იგი გემოთი წყაროს წყალს გავს და ბროლივით გამჭვირვალეა.

ლენინგრადის ერთ-ერთი წყალსადენის სადგური — პეტროგრადსკაია, რომლის აღჭურვა უკვე დაიწყო, მთლიანად გადავიდა წყლის ოზონურ წმენდაზე. იგი ჩვენს ქვეყანაში პირველი დიდი საწარმო იქნება, სადაც ამ მეთოდს გამოიყენებენ.

ლენინგრადი.

სროლა... ესტრადიდან

უკვეულოდ დაიწყო ეს კონცერტი რიგის ზღვისპირეთის ძინტარის ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში. უფერტიერის ნაცვლად ესტრადიდან იქუხა... სროლამ. მაგრამ ასეთმა დასაწყისმა არავინ არ გააკვირვა. თუმცა, წინასწარ იყო გამოცხადებული, რომ დარბაზში წაიმღერებს აკუსტიკური კვლევა და მაყურებელთა დასწრება აუცილებელია.

ლატვიის სახელმწიფო ფილარმონიის ღია საკონცერტო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ამრეკლავი ჭერით და არა აქვს გვერდითი კედლები, უნიკალური ნაგებობაა თავისი აკუსტიკური მონაცემებით.

რიგა.

100 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲙᲔᲕᲨᲘ

ამ მზიურმა სასმელმა, რომელიც დაამშვენებს ერევნელთა საზეიმო სუფრას სომხეთის ძველი დედაქალაქის დაბადების დღეს, უკვე დიკავა საპატიო ადგილი ღვინოების მუზეუმში, რომლის გრიალ დარბაზები მოთავსებულია „არარატის“ ტრესტის კომბინატის სარდაფებში.

მუზეუმი 1883 წელს შეიქმნა. თავდაპირველად ეს იყო ადგილობრივი ჯიშის ყურძნის ღვინოების პატარა კოლექცია, რომელიც სომხეთში პირველი ღვინის ქარხნის მფლობელებმა შეკრიბეს.

ახლა ამ თავისებური ღვინის ბიბლიოთეკის სტელაჟებზე ორასზე მეტი დასახელების ასი ათასი ბოთლი ღვინოა.

ცალკე დარბაზი გამოყოფილია ძველი ღვინოებისათვის. ყველაზე უხუცესი ესპანური „სოლერე“ 121 წლისაა. სპეციალური შენობა უკავია უზარმაზარ კასრებს, რომლებიც სავსეა სამოცდაათი წლის ღვინოებით.

ერევანი

ᲠᲐᲓᲘᲝ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — მუსიკა კინოფილმებიდან, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი „ჩემი სამშობლოს ვალებზე“, 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.45 — ქართული ხალხური საცეკვაოები, 13.00 — „სიტყვების სხმყაროში“ (მოსკოვი), 13.25 — გზის მრეწველობის მინისტრის ა. ი. კორტუნოვის გამოსვლა (მოსკოვი), 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოჟურნალი „ნაკადული“, 14.45 — საუბარი „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღე“, 15.00 — მეგობრობის კონცერტის ტრანსლაცია ერევნიდან, 15.40 — ი. ხოშტარიას ლექსები, 16.00 — ციკლიდან „გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები“ — ნაუმ ვალტერი, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — საბჭოთა მუსიკის საათი — მოკროუსოფის სიმღერები, 20.30 — მ. ჯაკახიშვილი. „მართალი ადდულაჰ“. მოთხრობა, 21.25 — რახმანინოვი. მესამე საფორტეპიანო კონცერტი. ასრულებს პარიზის კონსერვატორიის სიმფონიური ორკესტრი. სოლისტი — ვ. გილელსი; დირიჟორი — ა. კლუეტანსი, 22.30 უკანასკნელი ცნობები, 23.30 — — მღერის ივ მონტანი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

● ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 31 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

10.35 — გადაცემათა პროგრამა, 10.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ვიოლიაკვი დაბადების დღეს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მელოდიიდან მელოდიამდე, 16.00 — გადაცემათა პროგრამა, 16.10 — ახალი ამბები, 16.15 — ქართული მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე“, 17.30 — ბავშვებისათვის მუსიკალური ჟურნალი „ტოროლა“ (28 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 18.00 — კინონარკვევი „ბეჭინის მდელო“, 18.30 — ტელეპანორამა, 19.00 — კინომოგზაურთა კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ჯანმრთელობა“, 20.40 — კინონარკვევი „საუკუნეთა გზებზე“, 20.50 — „ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ“, 21.20 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.30 — საინფორმაციო პროგრამა „დრო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მხატვრული ფილმი „სახლი მეზონინით“, 23.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.45 — კინონარკვევი — „ლეგენდა ოქროს კერაზე“, 24.00 — გადაცემა ციკლიდან „ხელოვნების ოსტატები“ — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნ. სიმონოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 01.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (მე-9 არხით) დასაწყისი 10 საათიდან.

● ᲙᲕᲘᲠᲐ, 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

10.05 — გადაცემათა პროგრამა, 10.15 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო ჟურნალი „თქვენთვის, ქალებო“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის გადაცემა — „მახსოვს პირველად სასწავლებელში“ (გადაცემა ეძღვნება ახალი სასწავლო წლის დაწყებას), 12.10 — კონცერტი, 13.00 — ბავშვებისათვის „სატელევიზიო საადგილო პიონერია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — მხატვრული ფილმი — „პირველკლასელი“. 14.40 — სატელევიზიო ენციკლოპედია — საბჭოთა კავშირის გამომცემლობები ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — სატელევიზიო კალენდარი — მენავთობეთა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღე (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — „კინოფიშა“, 16.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — საღამოს გადაცემათა პროგრამა, 16.35 — გადაცემა „ჯაბურღილი და ცისფერი ალი“, 16.50 — მხიარული ეკრანი, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „მოამბე“, 19.15 — შვიდი დღე — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — სატელევიზიო სპორტული ჟურნალი — „იმის ნახტომი“. 20.35 — გადაცემათა პროგრამა 2 სექტემბრისათვის, 20.40 — კინონარკვევი — ერთი დღე უნივერსიტეტში, 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ კიევი — „ნეფტჩი“ (ბაკო) (გადმოცემა კიევიდან), 21.45 — საესტრადო-გასართობი პროგრამა.

● ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ციკლიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ“ (31 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 11.50 — კინონარკვევი, 12.00 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი — „13 სკამი“ — 30 აგვისტოს გადაცემის გამეორება (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — „სამშობლოს ერთი საათი“ — საბჭოთა კავშირი. 1968 წლის 2 სექტემბერი (გადაცემა-რეპორტაჟი ჩვენი ქვეყნის 25 სატელევიზიო სტუდიის მონაწილეობით), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — „სამშობლოს ერთი საათი“ — საბჭოთა კავშირი. 1968 წლის 2 სექტემბერი. გადაცემა-რეპორტაჟი ჩვენი ქვეყნის 25 სატელევიზიო სტუდიის მონაწილეობით. ვიდეოჩანაწერი, 20.00 — გადაცემა „ვ. ი. ლენინის ერთი პასპორტი“, 20.10 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 20.30 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.00 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15—„შენთვის, სიჭაბუკვ“—პროგრამა ეძღვნება ახალ სასწავლო წელს (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.05—„მუსიკა დღეს“, სატელევიზიო მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 „მხოლოდ ფაქტები“ — „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (მე-9 არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ეთერშია— „ახალგაზრდობა“ (2 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 11.35 — კინოპროგრამა, 12.30 — „მუსიკა დღეს“. სატელევიზიო მიმოხილვა (2 სექტემბრის გადაცემის გამეორება, გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — სატელევიზიო დადგმა „ცოლ-ქმარი ორლოვები“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — ბავშვებისათვის. „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.20 — კინონარკვევი, 19.35 — სპორტული გადაცემა „ფეხბურთელის მონაწილე“, 19.55 — ხხაგერული ფილმი „პირველი შიკრიკი“, 21.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (მე-9 არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი — „არა და დიახ!“, 12.30 — „ოქროპირი“ — სატრიულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (4 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — ახალი ამბები, 18.30 — განცხადებები, 18.35 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდენას ეკრანი“, 2. „დიდების ორდენის კავალერთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „ეთერშია „ახალგაზრდობა“, 20.15 — მხატვრული ფილმი „არა და დიახ“, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ქართული გალობა“ — მუსიკალური გადაცემა, 22.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.20 — პროგრამა მეორე დღისათვის.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (მე-9 არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის. „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა, 12.00 — მხატვრული ფილმი „სერგეი ლაზო“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — ახალი ამბები, 18.30 — განცხადებები, 18.35 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ბაბედული ფოტომონადირე“, 2. „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.30 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — გადაცემა „შრომის წითელი დროშის ორდენის კავალრები“, 20.50 — ციკლიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ“ — „ბარათაშვილი და მუსიკა“, 21.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.05 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა: „ესტრადა, სიმღერები, ცეკვები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — „მხოლოდ ფაქტები“ და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (მე-9 არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი — „არა და დიახ!“, 12.30 — „ოქროპირი“ — სატრიულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (4 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — ახალი ამბები, 18.30 — განცხადებები, 18.35 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდენას ეკრანი“, 2. „დიდების ორდენის კავალერთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „ეთერშია „ახალგაზრდობა“, 20.15 — მხატვრული ფილმი „არა და დიახ“, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ქართული გალობა“ — მუსიკალური გადაცემა, 22.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.20 — პროგრამა მეორე დღისათვის.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (მე-9 არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 87.61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54. განცხადებების — 93-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 11024

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.